

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, N12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს ცვლილება და მისი მე-60³ მუხლი გამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 60³. წყალდაცვითი ზოლებისა და სანიტარული დაცვის ზონების კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევა

წყალშემკრებზე წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა, რაც იწვევს წყლის დაბინძურებას, ნიადაგის წყლისმიერ ეროზიას და სხვა მანერ მოვლენებს, -

გამოიწვევს ფიზიკური პირების დაჯარიმებას ას ლარამდე, იურიდიულ პირთა - ხუთას ლარამდე.

სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ და საკურორტო საჭიროებისათვის განკუთვნილი სანიტარული დაცვის ზონებისა და წყალდაცვით ზოლებში კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევა, -

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 1500 ლარით, იურიდიულ პირთა - 3000 ლარით.

იგივე ქმედება ჩადენილი სანიტარული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონაში, -

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 3000 ლარით, იურიდიულ პირთა - 5000 ლარით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი